ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №36

17.11.2023 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ვახტანგ სურგულაძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმარი:

1. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 13 ნოემბრის №12-032331753-03 წერილი)

/მომხსენებელი: ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 8 ნოემბრის №12-032331271-03 წერილი)

/**მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 19 ოქტომბრის №12-032329259-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 2 ნოემბრის №12-032330634-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 2 ნოემბრის N12-032330632-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N12-0323291128-03 წერილის გადადებული მე-14 („ო“) წინადადება)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 16 ნოემბრის N12-03233204-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 16 ნოემბრის N12-03233205-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

9. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 13 ნოემბრის №12-032331753-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 700 912 400 ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132 600 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68 779 800 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - 542 391 100 ლარი;
2. **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 223 111 100 ლარი;
3. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 213 611 100 ლარი;
4. **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 1 879 500 ლარი;
5. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 38 296 300 ლარი;
6. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 154 685 200 ლარი;
7. **განათლება** - 246 047 100 ლარი;
8. **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 35 534 700 ლარი;
9. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 6 297 000 ლარი.
10. **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 239 059 300 ლარი.

პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 645 812 400 ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ✓ **გადასახადები** 918 661 800 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 643 661 800 ლარს, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (622 224 400 ლარი) შედარებით გაზრდილია 21 437 400 ლარით.

ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 275 000 000 ლარს, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (250 000 000 ლარი) შედარებით გაზრდილია 25 000 000 ლარით. მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 225 000 000 ლარი, რაც 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (208 000 000 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 17 000 000 ლარით;

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 30 000 000 ლარი, რაც 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (26 000 000 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 4 000 000 ათასი ლარით;

- მიწაზე ქონების გადასახადი 20 000 000 ათასი ლარი, რაც 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (16 000 000 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 4 000 000 ათასი ლარით.

გრანტები 446 590 000 ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში შემცირებულია 27 965 000 ათასი ლარით (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები და სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე):

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 590 000 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 440 000 000 ათასი ლარი.

- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 6 000 000 ათასი ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 1 000 000 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000 000 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000 000 ათასი ლარი).

✓ **სხვა შემოსავლები** 280 560 600 ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 9 000 000 ლარი;

- ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - 18 095 000 ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000 000 ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000 000 ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 100 000 000 ლარი;

- სხვადასხვა შემოსავლები – 8 465 600 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 700 912 400 ლარს. მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **ხარჯები** - განსაზღვრულია 1 421 932 300 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 128 079 500 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 182 696 000 ლარი, პროცენტი 46 942 100 ლარი, სუბსიდიები 637 757 300 ლარი, გრანტები 1 466 700 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 146 151 200 ლარი, სხვა ხარჯები 278 839 500 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით **არაფინანსური აქტივების ცვლილება** შეადგენს - 173 253 300 ლარს, მათ შორის:

– არაფინანსური აქტივების ზრდა – 228 253 300 ლარი.

– არაფინანსური აქტივების კლება – 55 000 000 ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილება 100 000 ლარი;

– ფინანსური აქტივების კლება – 100 000 ლარი.

2024 წლისათვის **ვალდებულებების ცვლილება** - 50 726 900 ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **მთლიანი სალდო** 2024 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 50 626 900 ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

წარმოდგენილი საკითხის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრებმა კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ პრიორიტეტებზე, პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** (კოდი: 03), რომლის დაფინანსების ოდენობაც, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია **213 611 100** ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებასთან მიმართებაში (**211 901 700** ლარი), გაზრდილია 1 709 400 ლარით.

პრიორიტეტის ფარგლებში:

- **გამწვანების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 01)** გათვალისწინებულია **65 901 300** ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **გამწვანების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (79 451 300 ლარი), **შემცირებულია** 13 550 000 ლარით;
- **დასუფთავების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 02)** გათვალისწინებულია 132 105 600 ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **დასუფთავების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**119 000 000** ლარი), გაზრდილია 13 105 600 ლარით;
- **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 03 03 01)** გათვალისწინებულია 4 478 700 ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**7 308 600** ლარი), შემცირებულია 2 829 900 ლარით;
- **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 03 03 02)** გათვალისწინებულია **11 125 500** ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**6 141 800** ლარი), გაზრდილია 4 983 700 ლარით.

2. **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 09 02)** გათვალისწინებულია 5 479 900 ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ ასიგნებასთან მიმართებაში (9 619 700 ლარი), შემცირებულია 4 139 800 ლარით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები დასვეს და აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, ლ. ჯაფარიძემ, ვ. სურგულაძემ, რომლებმაც ისაუბრეს: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, შპს „ეკოსერვის ჯგუფის“, შპს „თბილსერვის ჯგუფის“, ა(ა)იპ "ზოოლოგიური პარკისა" და ა(ა)იპ "თბილისის ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, სპეც.ტექნიკისა და 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების თაობაზე.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ აღნიშნა, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“, შპს „თბილსერვის ჯგუფის“, ა(ა)იპ „ზოოლოგიური პარკის“ საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის შრომითი ანაზღაურება დაბალია და საჭიროებს გაზრდას.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, ასევე, ისაუბრა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ დედაქალაქში მზარდი ურბანული განვითარებისა და მასთან ერთად გამწვანებული და სარეკრეაციო სივრცეების გაზრდასთან ერთად, გაიზარდა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ ვალდებულებები გამწვანებული ტერიტორიების (მათ შორის სარეკრაციო სივრცეების, დასასვენებელი ადგილების, მწვანე კუნძულების და სხვ.), ასევე, შადრევნების და სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობის მიმართულებით, რაც, თავისთავად, საჭიროებს დამატებით მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურს. იმისთვის, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფმა“ ჯეროვნად და ეფექტიანად უზრუნველყოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მიზანშეწონილია, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისთვის (ეკოსერვისი) გამოყოფილი სუბსიდია გაიზარდოს.

ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ „ზოოლოგიური პარკისა“ და ა(ა)იპ „თბილისის ბოტანიკური ბაღის“ საერთაშორისო მნიშვნელობასა და მათ მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. მან ასევე, აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 141 საშტატო ერთეულს, რომელთა უმრავლესობაც (დაახლოებით 100 თანამშრომელი) წარმოადგენს დაბალი რანგის თანამშრომელს და მათი ხელფასის ოდენობა (ხელზე ასაღები) 450-იდან 900 ლარის შუალედშია. მათ უმრავლესობას პირდაპირ თუ ირიბად უწევს გარეულ (მათ შორის მტაცებელ) ცხოველებთან შეხება (ცხოველის მომვლელები, ვეტერინარები, დაცვის თანამშრომლები, მუშები და მეეზოვეები), რაც თითქმის უწყვეტ (24 საათიან) რეჟიმში მძიმე ფიზიკური შრომის გარდა, ასევე სახიფათოცაა და მეტად საპასუხისმგებლოც. ამ კატეგორიის თანამშრომლებს, მათი საქმიანობის გათვალისწინებით, დაბალი ანაზღაურება აქვთ და ხშირია კვალიფიციური კადრების გადინება, რაც ზოოპარკისთვის ძალიან პრობლემური საკითხია.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ და ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ ისაუბრეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობისა და ამ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების თაობაზე, მათ შორის, ნარჩენების კონტეინერებისა და სპეც.ტექნიკის შესყიდვის აუცილებლობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კომისიის წევრებს მიმართა შემდეგი წინადადებებით:

2024 წლის ბუჯეტში:

1. **გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 87 800 000 (ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვა ასი ათასი) ლარით (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია 6 200 000 (ექვსი მილიონ ორასი ათასი) ლარი);
2. **დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარით (ნარჩენების კონტეინერების შესყიდვისთვის - 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, სპეც.ტექნიკის შესაძენად - 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი ლარი);

3. **განხორციელდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო ნუსხის 50 ერთეულით** (მომსახურე/ტექნიკური პერსონალი) გაზრდა;

4. **2024 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას:**

   1) **1 720 000 (ერთი მილიონ შვიდას ოცი ათასი) ლარი** - შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მებაღეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები, მთიბავები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს) გაზრდის მიზნით;

   2) **7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი** - შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მეეზოვეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით;

   3) **700 000 (შვიდასი ათასი) ლარი** - თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით.

5. 2024 წლის (საბიუჯეტო წლის) განმავლობაში, საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებისა და გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის" პროექტის თაობაზე მოსმენილი ინფორმაციის, ასევე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული წინადადების გათვალისწინებით, ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. **გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 87 800 000 (ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვა ასი ათასი) ლარით (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია 6 200 000 (ექვსი მილიონ ორასი ათასი) ლარი);
2. **დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარით (ნარჩენების კონტეინერების შესყიდვისთვის - 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, სპეც.ტექნიკის შესაძენად - 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი ლარი);

3. **განხორციელდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო ნუსხის 50 ერთეულით** (მომსახურე/ტექნიკური პერსონალი) გაზრდა;

4. **2024 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას:**

   1) **1 720 000 (ერთი მილიონ შვიდას ოცი ათასი) ლარი** - შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მებაღეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები, მთიბავები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს) გაზრდის მიზნით;

2) 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი - შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მეეზოვეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით;
3) 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი - თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით.

5. 2024 წლის (საბიუჯეტო წლის) განმავლობაში, საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებისა და გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის" პროექტის თაობაზე მოსმენილი ინფორმაციის, ასევე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული წინადადების გათვალისწინებით, ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. **გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 87 800 000 (ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვა ასი ათასი) ლარით (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია 6 200 000 (ექვსი მილიონ ორასი ათასი) ლარი);
2. **დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარით (ნარჩენების კონტეინერების შესყიდვისთვის - 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, სპეც.ტექნიკის შესაძენად - 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი ლარი);
3. **განხორციელდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო ნუსხის 50 ერთეულით** (მომსახურე/ტექნიკური პერსონალი) გაზრდა;
4. **2024 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას:**
   1) 1 720 000 (ერთი მილიონ შვიდას ოცი ათასი) ლარი - შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მებაღეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები, მთიბავები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს) გაზრდის მიზნით;
   2) 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი - შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მეეზოვეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები და სხვ.)

შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით;

3) **700 000 (შვიდასი ათასი) ლარი** - თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით.

5. 2024 წლის (საბიუჯეტო წლის) განმავლობაში, საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებისა და გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 8 ნოემბრის №12-032331271-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა.

მომხსენებლის (გ. კობიაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 28 ივნისის №3303 საქართველოს კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში შეტანილ იქნა ცვლილება და სანქცია ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ძაღლის საბლის ან ალიკაპის გარეშე ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა) - გამოიწვევს ძაღლის მფლობელის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რათა მოქმედი დადგენილება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერთან.

პროექტით იცვლება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის

წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 აპრილის №7-28 დადგენილების მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი, რომელიც იმეორებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას და აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე („შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა“) აკონკრეტებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ძაღლის ყოლის წესს, კერძოდ: „ძაღლის ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში ნებადართულია საბლით ან ალიკაპით (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა)“. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ძაღლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ საბლით და ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.“

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 8 ნოემბრის **№12-032331271-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 8 ნოემბრის **№12-032331271-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 19 ოქტომბრის №12-032329259-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 19 ოქტომბრის №23.1602.1765 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01232822439-67; №01232823379-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01232822439-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქუჩა №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.173.503) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

№01.20.01.173.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია მიწის ნაკვეთის განკარგვა/პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01232903562 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, №01.14.09.008.686 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის

ნაკვეთის ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქუჩა №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.173.503; №01.14.09.008.686-ის ნაწილზე) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2პუნქტი) - **№01232823379-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქუჩა №21/N21ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.09.008.334, №01.14.09.008.335) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 17 ოქტომბრის №01232903561 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქუჩა №21/N21ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.09.008.334, №01.14.09.008.335) ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 19 ოქტომბრის **№12-032329259-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01232822439-67; №01232823379-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 2 ნოემბრის №12-032330634-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1-ელი №23.1670.1842 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01232962916-67; №01232122696-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232982844); №01231004133-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191); №01231811050-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191); №01232203061-

67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299204); №012306116-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123300155)).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - **№01232962916-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №181-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.193) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, ,,ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №181, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №179-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.14.002.042; №01.17.14.002.155) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №213 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ №181-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.193) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი - **№01232122696-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232982844) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი, სოფელი ქვემო ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ვარდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.17.872; №72.16.17.234; №72.16.17.804; №72.16.17.240; №72.16.17.826; №72.16.17.231; №72.16.17.866; №72.16.17.864; №72.16.17.245) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, ,,ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი, სოფელი ქვემო ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ვარდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.17.872; №72.16.17.234; №72.16.17.804; №72.16.17.240; №72.16.17.826; №72.16.17.231; №72.16.17.866; №72.16.17.864; №72.16.17.245) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №525

განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი, სოფელი ქვემო ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ვარდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.872; №72.16.17.234; №72.16.17.804; №72.16.17.240; №72.16.17.826; №72.16.17.231; №72.16.17.866; №72.16.17.864; №72.16.17.245) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი - **№01231004133-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, დიდების ქუჩა, №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.01.888) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, ,,ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, დიდების ქუჩა, №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.01.888) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №523 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, დიდების ქუჩა №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.01.888) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი - **№01231811050-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა №20დ; №18 (ნაკვ.28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022; №01.17.12.028.021; №01.17.12.028.029; №01.17.12.028.028) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, ,,ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა №20დ; №18 (ნაკვ.28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022; №01.17.12.028.021; №01.17.12.028.029; №01.17.12.028.028) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №522 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილის სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, კერძოდ, №01.17.12.028.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა (სზ) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება (საკადასტრო კოდი: №01.17.12.028.015) საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა-6-ით (სზ-6) დაზუსტება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა №20დ; №18 (ნაკვ.28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022; №01.17.12.028.021; №01.17.12.028.029; №01.17.12.028.028) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.028.015) საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) დაზუსტება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი - **№01232203061-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299204) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა №61/65/67/73; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.15.690-ის ნაწილი; №72.16.22.028; №72.16.15.707; №72.16.15.708; №72.16.15.599; №72.16.22.027; №72.16.15.623; №72.16.15.621; №72.16.22.487; №72.16.22.047; №01.72.58.035.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, "ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა №61/65/67/73; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.690-ის ნაწილი; №72.16.22.028; №72.16.15.707; №72.16.15.708; №72.16.15.599; №72.16.22.027; №72.16.15.623; №72.16.15.621; №72.16.22.487; №72.16.22.047; №01.72.58.035.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №524 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა №61/65/67/73; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.690-ის ნაწილი; №72.16.22.028; №72.16.15.707; №72.16.15.708; №72.16.15.599; №72.16.22.027; №72.16.15.623; №72.16.15.621; №72.16.22.487; №72.16.22.047; №01.72.58.035.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი - **№012306116-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123300155) განცხადება,** ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №83, №89, №93, №95, №81, აგარანის ქუჩა №60, №62, №64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.05.652; №81.02.99.096; №81.02.39.162; №81.02.93.302; №81.02.96.713; №81.02.05.394; №81.02.99.368; №81.02.05.434; №81.02.95.268; №81.02.94.701; №81.02.05.500; №81.02.94.707; №81.02.05.475; №81.02.05.558; №81.02.98.194; №81.02.98.195; №81.02.05.336; №81.02.05.435; №81.02.94.709; №81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, "ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №83, №89, №93, №95, №81, აგარანის ქუჩა №60, №62, №64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.05.652; №81.02.99.096; №81.02.39.162; №81.02.93.302; №81.02.96.713; №81.02.05.394; №81.02.99.368; №81.02.05.434; №81.02.95.268; №81.02.94.701; №81.02.05.500; №81.02.94.707; №81.02.05.475;

№81.02.05.558; №81.02.98.194; №81.02.98.195; №81.02.05.336; №81.02.05.435; №81.02.94.709; №81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №526 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №83, №89, №93, №95, №81, აგარანის ქუჩა №60, №62, №64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.05.652; №81.02.99.096; №81.02.39.162; №81.02.93.302; №81.02.96.713; №81.02.05.394; №81.02.99.368; №81.02.05.434; №81.02.95.268; №81.02.94.701; №81.02.05.500; №81.02.94.707; №81.02.05.475; №81.02.05.558; №81.02.98.194; №81.02.98.195; №81.02.05.336; №81.02.05.435; №81.02.94.709; №81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 2 ნოემბრის №12-032330634-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01232962916-67; №01232122696-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232982844); №01231004133-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191); №01231811050-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299191); №01232203061-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123299204); №012306116-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0123300155)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 2 ნოემბრის N12-032330632-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1-ელი №23.1666.1834 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01232923383-67; №01232483099-67; №0123282895-67; №01232641344-67; №01232781150-67; №01232962644-67; №01233033136-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01232923383-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ალექსანდრე სულხანიშვილის ქუჩა №20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.04.288) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 24 ოქტომბრის №01232971089 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №81.01.04.288) ჩრდილოეთით, სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №81.01.04.288 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ალექსანდრე სულხანიშვილის ქუჩა №20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.04.288) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01232483099-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მე-3 რეხის ქ. №6 (19)/ №4; მახათას აღმართი №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.004.098; №01.16.08.004.089; №01.16.08.004.101) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, მახათას აღმართის მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.16.08.004.089; №01.16.08.004.098; №01.16.08.004.101 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 17 ოქტომბრის №01232903112 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მე-3 რეხის ქ. №6 (19)/ №4; მახათას აღმართი №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.004.098;

№01.16.08.004.089; №01.16.08.004.101) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0123282895-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბროწეულის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.462) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილებით მოხდება ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 17 ოქტომბრის №01232903111 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბროწეულის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.462) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01232641344-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ე. ახვლედიანის (ყოფილი კიბალჩიჩი) ხევი №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.734) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნის საკითხი ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №37 28.09.2023წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ელენე ახვლედიანის ხევი N27ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.734) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 24 ოქტომბრის №01232973062 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.16.06.063.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ე. ახვლედიანის (ყოფ. კიბალჩიჩი) ხევი №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.734) ასევე, №01.16.06.063.031 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01232781150-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ქვიშხეთის ქუჩა №57-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.08.001.014) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 ოქტომბრის №01233001717 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვიშხეთის ქუჩა №57-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.08.001.014) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01232962644-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა №9-ის (საკადასტრო კოდი: №01.10.08.005.117) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს გზის სტატუსის მინიჭება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 26 ოქტომბრის №01232991166 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 26 ოქტომბრის №01232992358 წერილის მიხედვით, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი ცვლილებით მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა №9-ის (საკადასტრო კოდი: №01.10.08.005.117) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01233033136-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთი, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.452, ნაკვეთი №81) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის კორექტირება (ფართის უცვლელად).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 31 ოქტომბრის №01233043503 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიაზე, ფართის უცვლელად, განხორციელდეს სატყეო ზონის კონტურის ცვლილება.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთი, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.452, ნაკვეთი №81) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1)

სატყეო ზონით ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის კორექტირება (ფართის უცვლელად) მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 2 ნოემბრის №12-032330632-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01232923383-67; №01232483099-67; №0123282895-67; №01232641344-67; №01232781150-67; №01232962644-67; №01233033136-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N12-0323291128-03 წერილის გადადებული მე-14 („ო") წინადადება)

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კომისიის 2023 წლის 19 ოქტომბრის (ოქმი №35) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილების წინადადება (**№01232892416-67 განცხადება**).

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01232892416-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება.

სამრეწველო ზონა 2-ში (ს-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები

№01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სს „თბილპოლიმერი"-ს მიერ მეორადი ნედლეულის, კერძოდ, პლასტიკის ნარჩენების და მიღებული ნედლეულიდან სხვადასხვა დანიშნულების შესაფუთი პროდუქციის წარმოება. სს „თბილპოლიმერის" გეგმაა, გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, შესაბამისად, აღნიშნულით შემცირდება როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენება, ასევე შეამცირებს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

საპროექტო ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და სამშენებლო საქმისწარმოების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება დაგეგმილი სამუშაოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ასევე, №01.19.14.004.115 და №01.19.14.004.343 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ასევე, №01.19.14.004.115 და №01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე, აგრეთვე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216; №01.19.14.004.115; №01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია იმ პირობით, თუ წარმოდგენილი იქნება **გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დადებითი ანგარიში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 18 ოქტომბრის **№12-0323291128-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01232892416-67 განცხადების (სულ:** 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 16 ნოემბრის N12-03233204-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის №23.1715.1934 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 10 წინადადება - №01233052788-67; №0123284593-67; №01232963479-67; №01233033657-67(№01232843006-67); №17-01233043070-16; №01223122584-67; №01233002299-67; №01233121295-67; №01233133116-67; №0123317430-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01233052788-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალში (ნაკვ. 38/004) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.03.038.004) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.13.03.038.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 3 ნოემბრის №0123307891 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.13.03.038.004) ჩრდილოეთით და სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.13.03.038.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალში (ნაკვ. 38/004) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.03.038.004)

და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0123284593-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა №70ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.162) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

№01.72.14.023.162 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ძველი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების დაბრუნება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.162) აღმოსავლეთით და დასავლეთით, როგორც დაურეგისტრირებელ, ასევე დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სარეკრეაციო ზონა (რზ) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.023.162 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ №01.72.14.023.165, №01.72.14.023.376, №01.72.14.023.383, №01.72.14.023.560, №01.72.14.023.370, №01.72.14.023.563, №01.72.14.023.160, №01.72.14.023.396, №01.72.14.023.576 საკადასტრო მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 3 ნოემბრის №18-0123307930 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა №70ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.162; №01.72.14.023.165; №01.72.14.023.376; №01.72.14.023.383,

№01.72.14.023.560, №01.72.14.023.370, №01.72.14.023.563, №01.72.14.023.160, №01.72.14.023.396, №01.72.14.023.576) და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01232963479-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი №86-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.149) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.12.01.004.149 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის განკარგვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 31 ოქტომბრის №01233043511 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.149) სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და აღმოსავლეთით №01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი №86-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.149) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება, ასევე, №01.12.01.004.045

საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01233033657-67(№01232843006-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.003.237) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

№01.19.34.003.237 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საავტომობილო გზის მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 18 ოქტომბრის №01232912733 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გზას და ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 3 ნოემბრის №0123307844 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ №01.19.34.003.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. ასევე, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.34.003.048 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.003.237) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა, ასევე, №01.19.34.003.048 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№17-01233043070-16 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკაში, რკინიგზის სადგურის ველის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.31.009.109) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.19.31.009.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მუნიციპალური ავტობუსების პარკისთვის ახალი ავტობაზის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 ნოემბრის №18-01233113221 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკაში, რკინიგზის სადგურის ველის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.31.009.109) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01223122584-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.006.085) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

№01.18.06.006.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ძველი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 1-ელი ნოემბრის №0123305989 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით განსაზღვრული კონტურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.006.085) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01233002299-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბერთუბნის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.01.403) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

№72.13.01.403 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ძველი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 3 ნოემბრის №18-01233073420 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.13.01.404, №01.72.13.614.002, №72.13.01.147, №72.13.01.148) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სარეკრეაციო ზონა (რზ) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №72.13.01.404, №01.72.13.614.002, №72.13.01.147, №72.13.01.148 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერთუბნის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.13.01.403, №72.13.01.404, №01.72.13.614.002, №72.13.01.147, №72.13.01.148 და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე) სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01233121295-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, კ. ბაქრაძის ქუჩა №2-ში; ვ. მიქელაძის №29-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, საბარგოს დასახლება, ბაქრაძის ქუჩა №2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.050.025) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

№01.17.08.050.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს რეგისტრირებული საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 ნოემბრის №01233181866 წერილით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე, შესაბამისად, ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კ. ბაქრაძის ქუჩა №2-ში; ვ. მიქელაძის №29-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისში, საბარგოს დასახლება, ბაქრაძის ქუჩა №2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.050.025) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01233133116-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.075) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო „სახელმწიფო ქონების" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ეკონომიკური აქტივობისა და სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვასა და განკარგვას, შესაბამისად, სააგენტოს უმთავრესი მიზანია, დაინტერესებული სუბიექტებისათვის მაქსიმალურად მათ საჭიროებებზე მორგებული ქონების შეთავაზების გზით, უზრუნველყოს მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ეკონომიკური აქტივის ზრდის ხელშეწყობა.

ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად და განვითარების სხვადასხვა სავარაუდო შესაძლებლობის მქონე ქონებების პოტენციური ინვესტორებისათვის შესათავაზებლად, სააგენტო ახორციელებს პროექტს - „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს". აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამომავლოდ, ქ. თბილისში,

სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 65402 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.075) მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 ნოემბრის №01233181701 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიღმა წარმოიქმნება რიგი ხარვეზები. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ხარვეზების გასწორება. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ფაქტობრივად არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ზონირებას შორის იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5); სამხრეთ-დასავლეთით არსებული სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5); სამხრეთით არსებულ №01.10.10.007.072, №01.10.10.007.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნულ ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, ხორციელდება სამხრეთით არსებული გზათა ქსელის კორექტირება და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ფაქტობრივად არსებულ გრუნტის გზაზე, ხოლო, რეგისტრაციებზე ხარვეზის სახით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.075) ასევე, №01.10.10.007.072, №01.10.10.007.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№0123317430-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, რევაზ ჯაფარიძის I, შესახვევი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.056.163) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.15.02.056.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 ნოემბრის №01233181918 წერილით, მოთხოვნილი ცვლილება არ გამოიწვევს სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრის არსებითად შემცირებას და მისი კონფიგურაციის არსებითად ცვლილებას. სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მომიჯნავედ არსებული №01.15.02.056.077 რეგისტრაციის ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რევაზ ჯაფარიძის I, შესახვევი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.056.163), ასევე, №01.15.02.056.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ სურგულაძე)

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 16 ნოემბრის **№12-03233204-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01233052788-67; №0123284593-67; №01232963479-67; №01233033657-67(№01232843006-67); №17-01233043070-16; №01223122584-67; №01233002299-67; №01233121295-67; №01233133116-67; №0123317430-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მერვე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 16 ნოემბრის N12-03233204-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვესაკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის №23.1746.1925 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №012330715-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - **№012330715-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.978) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, ''ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალ ფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №396 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის №312 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.978) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 16 ნოემბრის **№12-03233205-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №012330715-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მეცხრე (მიმდინარე) საკითხები - არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე